ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 12 **1883—1893** **15—30 ივნისს.**

თავადი გიორგი ევსევის ძე ერისთავი.

ყველა კარგად იცნობდა განსვენებულს გიორგი ევსევის ძეს ერისთავს. მას დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული ყველასაგან. იგი იყო მაღალის ხარისხის და დიდის ჯილდოს პატრონი სამხედრო წოდების კაცი. მაგრამ მარტო ჯილდო არ იყო მიზეზი იმ ღრმა პატივისცემისა, რომელიც მოიპოვა მან თანამედროვე საზოგადოებაში. როგორც გარეგნად ბრწყინავდა იგი, აგრეთვე სულიერადაც ბრწყინვალე იყო ქრისტიანულ სარწმუნოებითა და კეთილ მიმართულებითა. თ. გიორგი ევსევის ძის ერისთავის მიმართულება და სარწმუნოება ცხადათ იხატება შვილისადმი მიცემულ დარიგებაში, სადაც მამა აძლევს პასუხს და განმარტებას იმ კითხვების შესახებ, რომელთა ახსნას სთხოვდა მამას ცნობის მოყვარეობით გატაცებული შვილი.

ამ დარიგების ერთი ცალი ჩვენ გადმოგვცა დეკანოზმა მამა რაჟდენ გიგაუროვმა, რომელსაც ვბეჭდავთ ზოგიერთ პირთა თხოვნით. აი ეს დარიგება და ახსნა მამისაგან შვილისადმი მიმართული:

შვილი: რა რიგად შეიძლება, რომ კაცი ამ ქვეყანაზედაც იყოს ბედნიერი და საუკუნო ცხოვრებაც დაიმკვიდროს?

მამა: კეთილ-მოქმედება, სიმშვიდე, სიწყნარე, სიწმიდე, ღვთის-მოყვარება და კაცთ-მოყვარება ამ

სოფლადაც ბედნიერ-ჰყოფს კაცს და იმ სოფელსაც ნეტარებას დაუმკვიდრებს.

კაცი, რომლის სწავლა შეერთებულია კეთილ-მოქმედებასთან ამ სოფელსაც ბედნიერია და იმ სოფელსაც ნეტარია. და თუ კეთილ-მოქმედება არა აქვს შეერთებული სწავლასთან, ესეთი კაცი იქმნება ბოროტ-მომქმედი არიოზი და იულიანე განდგომილი; ამ სოფელსაც შერცხვენილი იქნება და იმ სოფელსაც.

კაცი მდიდარი, უკეთუ იგი იქნება ღვთის-მოყვარე, ძმათ-მოყვარე, ღარიბთა და დავრდომილთა მოწყალე, ქვრივთა და ობოლთა შემწყნარებელი, შეწუხებულთა შემწე და კეთილი ყოფა-ქცევისა, ამ სოფელსაც ბედნიერი და საქებელია და იმ სოფელსაც სანატრელს ცხოვრებას დაიმკვიდრებს.

მშვენიერებით მრავალი დაბალი კაცის ქალი ხელმწიფის ცოლად გახდომილა და კაცსაც მრავალთა მშვენიერებით ბედნიერება მოუპოვია. სიმშვენიერესთან ადამიანს თუ კეთილი ყოფაქცევა შეერთებული აქვს—ამ სოფელშიაც ბედნიერია და იმ სოფელშიაც სასუფეველი მზათ აქვს. თუ სიმშვენიერე მოკლებულია კეთილ ყოფა-ქცევას, წლამდისინ მისი ბედნიერება დასრულდება; ამ სოფელსაც შერცხვენილი იქნება და იმ სოფლადაც სასუფეველს ვერ იხილავს.

კაცი კეთილ ყოფაქცევისა. უსწავლელი, ღარიბი და უსახოც რომ იყოს, მაინც ამ სოფელშიაც საქები არის და იმ სოფელშიაც განსვენებით იქნება.

შვიდი: მამაო, ეგ რაცა სთქვით, ჭეშმარიტია, გთხოვ რომ ესეც მიბრძანოთ: ნატურალისტები იტყვიან, რომ ღმერთი ნატურაა, როგორ ამბობენ ამას?

მამა: შვილო, თუ ნატურა დაუსაბამოა, დაუსრულებელია და მიუწდომელი, მზისა, მთოვარის, ვარსკვლავთა, ცისა და ქვეყანის შემოქმედია, და პირველი მიზეზი და წესის მიმცემია, ჩვენც ეგრეთვე ვაღიარებთ ღმერთსა; ისინი უწოდებენ ნატურასა ღმერთსა, რუსები ბოღს უწოდებენ, ბერძნები თეოზს უწოდებენ, თათრები ჰალლაჰსა, და ქართველები ღმერთსა. რადგანაც დასაბამი აქვს ნატურასა ანუ დასასრული, მაშასადამე ღმერთი არ არის. აი შეილო, მრავალ არიან ნატურანი, კაცთა ნატურა სხვა არის, მზისა, მთოვარისა და ვარსკვლავთ ნატურა სხვა არის.

ნატურა ანუ ბენება ზღვისა სხვა არის, და რაოდენიცა ცხოველნი არიან ზღვასა შინა, სხვა-და-სხვა ნატურა აქვსთ, პირუტყვთაც სხვა-და-სხვა ნატურა აქვსთ. ეს ნატურანი ერთმანეთის წინააღმდეგნი არიან და მტერნი; ეთარცა ბეელი მტერია კაცისა, და კაცი ბეელისა, ესრეთვე მფრინველნი ერთმანეთის მტერნი არიან და შემჭმელნი. აი ცეცხლი თუ მეტია წყალზედა აღტშავს და ააშრობს, და თუ წყალი მეტია ცეცხლზედა გააქრობს. მაშასადამე ღმერთებს შორის ბრძოლა ყოფილა, და მრავალ-ღმერთობა შემოგვ. ღმერთი ერთი უნდა იყოს დაუსაბამო, და პირველი მიზეზი ყოველის სხეულისა; ოთხი ნივთია მიზეზი ყოველის სხეულისა: ცეცხლი, წყალი, ჰაერი და მიწა; მაგრამ ამათ დასაბამი აქვსთ, და საზღვარი, მაშასადამე სხვა არის ამათი მიზეზი, დაუსაბამო დაუსრულებელი და მიუწდომელი, ეითარცა იტყოდნენ ბერძენნი ფილოსოფოსნი, მიზეზო მიზეზთაო, შემიწყალენ მეშვილო ღმერთზედ ლაპარაკი არ არის რიგი, ამისთვისა რომ, რადგან დაუსაბამო და დაუსრულებელი და მიუწდომელია, მხოლოდ ვიცით, რომ არის, და ის კი არ ვიცით რა არის, და ვერც მიეხვედებით. ან დავით წინასწარმეტყველი რასა სწერს: «მე ესთქვი განკვირვებასა ჩემსა, რამეთუ ყოველი კაცი ცრუ არ». ვინც ღმერთზედ დაიწყებს ლაპარაკსა, ვერ მიხვდება, გაცრუდება. აი ერთს მაგალითს გეტყვი, შვილო: ზღვის პირზედ ერთი სასახლე იყო აშენებული, იმ სასახლეში ფილოსოფოსნი შემოკრბენ და დაიწყეს ღმერთზედ სჯა და ლაპარაკი. ერთი ფილოსოფოსი ქვევით იჯდა და ხმას არ იღებდა, ჰკითხეს, შენ რატომ არას იტყვიო? იმან უპასუხა თურმე: თქვენ იტყვით: დაუსაბამო, დაუსრულებელი და მიუწდომელი არისო, მე რაღა უნდა ესთქვა, ჩემი გონება ვერ მისწვდებაო. გააგრძელეს ლაპარაკი და იმ ღამეს იქ დარჩნენ, ეს ფილოსოფოსი ფილაზედ აღრიან ადგა, აიღო ერთი დიდი ღრმა კოვზი, ჩავიდა იმ ზღვის პირზედ, ჩაჰყოფს ზღვაში კოვზსა, ამოიღებს წყალს და გადმოასხამს ნაპირზედ, და იძახის ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი, ეს ორი... ჩაერდნენ ფილოსოფოსნი და ჰკითხეს: რასა იქო, რას მოქმედებო? იმან უთხრა: ზღვა მინდა ავსწყოო. ამათ უთხრეს, რომ გიჟს დაგიძახებენო; მან მიუგო პასუხად: მე ამ ზღვისა სიღრმეც ვიცი, სიგანეცაო, და ამ წყლის ბუნებაცა, თუკი მე ამისი აწყვა არ შემიძლიან, თქვენ დაუსაბამოსა და მიუწდომელზედ ლაპარაკობთ და თქვენ უფრო გიჟ არ დაგიძახებენო. შერცხვათ და პასუხი ვერ მიუგეს.

შვილო, თვით ჰხედავ, რომ ამაში შემცდარნი არიან მეცნიერნი. თუ რომ მეცნიერი არ შესცდება, უგუნური და უცნობო მარადის შემცდარია, შვილო!

შვილი: მამაო, მე ყოველივე მოვისმინე და ვსცან, მე გთხოვ, რომ ესეც მასწაო, როგორ უნდა გავსცნობო, ვინც ვერ იცნობს ყოვლისაშემძლებელს ღმერთსა?

მამა: შვილო, ბერძნული ლექსია, აგენიტონ და გენიტონ; აგენიტონ არს პირველი შექმნილი, გენიტონ თესლისაგან გამოსული. აი გეტყვი: შენა ხარ ჩემი შვილი, მე ვარ მამა შენი, მამა ჩემი ესევე, პაპის პაპამდინ მიჰყვები და მიხვალ, ადამი იყო, თუ იოანე, ანუ თეოდორე, ის იყო შექმნილი და არა თესლისაგან გამოსული. ახლა მიხედე ხარსა და ძროხასა, ის პირველი ხარი და ძროხა შექმნილია და არა თესლისაგან გამოსული, ძროხისაგან დაიბადება ხბო, მივჰხედოთ ახლა მფრინველთა, მამალი და დედალი, ისინი არიან შექმნილნი, და არა თესლისაგან გამოსულნი, იმათგან კვერცხი გამოვა, კვერცხისაგან წიწილა.

ახლა მიჰხედე ბალახსა, ნესვსა და საზამთროს; ისინი შექმნილნი არიან, და არა თესლისაგან გამოსულნი, იმათის თესლისაგან სხვა გაიზრდება, ესენი არიან შექმნილნი პირველის მიზეზისა და ღვთისაგან.

მიჰხედე მზესა, მთოვარესა, ვარსკვლავთა, ზღვასა, ქვეყანასა, როგორი კეთილი განკარგულება არის.

რაიცა დაუბადებია ღმერთსა, ყოველივე საკვირველებაა, მაგრამ ხშირათ რომ გვინახამს, აღარ გვიკვირს. აი მაგალითს გეტყვი: ერთი კვერცხი რომ დაგანახო, და არ გენახოს, მერე რომ გითხრა, ამ კვერცხიდამ სამს კვირაზედ გამოვიყვან სულიერსა, რომ ფრთები, ნისკარტი და ფეხები ჰქონდეს, და დაიჯერებს, რომ არ გენახოს, იტყვი, აი მამა ჩემი შემცდარა, რას ამბობსო. აი კიდევ დაგანახვებ ერთს მსხლის კურკასა, გეტყვი, შვილო, ამას მიწაში ჩავაგდებ, ამოვა ხე, მოისხამს მრავალს მსხვილს ხილსა, რომ შესჭამ გიამება, რომ არ გენახოს, იტყვი, მამა ჩემი შესცდაო, და რადგანაც მრავალჯერ გინახამს, აღარ გიკვირს და აღარც მამის შეცდომას იტყვი. შვილო, ვინც იტყვის, რომ ეს სოფელი ცუდია, უგუნურობა არის, და გმობა, ამისთვისა რომ რაცა ჰქმნა ღმერთმან, ყოველივე კეთილ არს.

აი ერთს მაგალითს გეტყვი, ერთი მშვენიერი სასახლე რომ იყოს, ოქროს ვარაყითა და ლაჟვარდით დახატული, და მშვენიერათ მორთული, ყოვლის სუნნელებით სავსე, და იმ სახლში შემოვიდნენ გასვრილნი და არაწმინდებით სავსე ხალხნი, მაშასადამე ის სახლიც აყროლდება. შვიდი მამაკვდინებელი ცოდვაა, ამპარტავნება, მრისხანება, კაცის კვლა, მრუშება, შური და სხვანი; ამისთვის უწოდებენ რომ სოფელი ცუდიაო, ჩვენა ვართ მიზეზნი სიცუდისა და არა სოფელი. ვისაც ელაპარაკები, შვილო, თუ შენი მოუბნარობა შეისმინოს კეთილი, და თუ არ შეისმენს, უგუნურნი და უცნობნი ერთბაშად წარსწყმდნენ.

(დასასრული შემდეგში).

ბედიის ტამარი.

ბედია მდებარეობს ეხლანდელ სამურძაყანოში ოქუმის-წყლის ერთ შესართავ წყალთან, ოქუმიდამ 15 ვერსის მანძილზედ. გზა მიდის ჩრდილოეთით ოქუმიდამ უსწორ-მასწორო და ტყით დაბურულ ალაგობით. ბედია მაღლობზედ არის მედიდურად გადმომდგარი და სასიამოვნოდ დასცქერის მის წინ მდებარე დაცემულს ადგილს შავი ზღვის ნაპირად. ბედია



ბ ე დ ი ი ს ტ ა ძ ა რ ი.

დიდი ხნიდამაა ცნობილი საქართველოს ისტორიაში. ამბობენ, ვითომ აქ ბინადრობდა ეგროსი, მეგრელების მამათ-მთავარი აქვე იმყოფებოდენ ერისთავები ბედიანებათ და შემდეგ ბედიან-დადიანებათ წოდებულნი და ეპისკოპოზი, რომლის მმართველობის ქვეშ იყო ეგროსის და დადისის წყლებ შუა მოქცეული ალაგი, ეხლანდელ ოხოჯს და ერთ-წყალს შუა; საქართველოს ერთხელმწიფობის დროს ბედიელს ეჭირა 26 ალაგი 40 ქართველ მღვდელ-მთავრებში და მეფის გეორგეინოსნობის დროს იდგა ცხომის—სუხუმის ეპისკოპოზის ქვემოდ. ეხლანდელი ბედიის ტაძარი აღაშენა მეათე საუკუნეში აფხაზ-ქართლის მეფემ ბაგრატ III, და გაამდიდრა მრავალ სოფლების შეწირვით. ამ ტაძარს თლილი და მოქანდაკებული ქვა არტყია; დიდი არ არის მაინცა და მაინც, მაგრამ ძალიან ლამაზია. ზევით აქეს გუმბათი, რომელიც შეფოთლილია მცენარეებით. გალავანში ეხლაც არის დარჩენილი ბედიელ-ეპისკოპოზთა სადგომები. შიგნით და გარეთ კედლებზეც ეხლაც მოჩანს წარწერანი, სადაც მოხსენებულია ბედიელი ეპისკოპოსები, გიორგი დადიანი და მეფე კონსტანტინე, რომელნიც სცხოვრობდენ XIV საუკუნეში.

(დასასრული შემდეგ №-ში)

მარიამ დედოფალი და შვილი მისი ოტია.

მარიამ დედოფალი და შვილი მისი ოტია. *)

მეჩვიდმეტე საუკუნე საქართველოს ერისათვის ჯოჯოხეთის ხანად შეიქნა, ქრისტეს სარწმუნოებისათვის ბრძოლამ მეტად დაღალა ქვეყანა, დაეცა ზნეობა. საერთო სამშობლოს სიყვარული შეიცვალა ანგარების მოყვარებად. მთავრები, მეფეები და ერისთევები ერთმანეთს გაეჯიბრნენ ქვეყნის აკლებაში. აი, რასა სწერს მატიანე: «არამედ ჟამთა ამათ შინა, ვითარცა ვიხილავთ, იქმნა განტევება ცოლთა, კლვა კაცთა და იდუმალ ტყვის ყიდვა და უჯერონი სჯულსა ზედა მრავალი იმერეთსა შინა».

ამ დროსვე მეფობდა ქართლში როსტომ მეფე, სჯულით მაჰმადიანი. მან შემოიღო სპარსული ზნე-ჩვეულება და ქრისტეს სარწმუნოების წინააღმდეგი ყოფა-ქცევა.

„ამა როსტომ მოიყვანნა ყოველნი ტყვენი საქართველოსანი სპარსეთიდან გამაჰმადიანებულნი და ამათით შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშება, ტყუილი, ხორცთ-განსვენება, აბანო, კეკლუცობა უგვანი და მიდრკენ, ვიდრე მღვდელთ-მთავარნიცა ჰყოფდენ უჯეროთა».

მძლავრი ლევან დადიანი იმ დროს უხტებოდა იმერეთს, გამოჰყავდა იქიდან მრავალი ქალი და კაცი და ჰყიდდა ოსმალეთში ტყვედ, იკლებდა ქვემო და ზემო იმერეთს, სწვავდა სოფლებს და აქცევდა კოშკებს, ციხეებს. ქართლ-კახეთში თეიმურაზ და როსტომ მეფენი ნიადაგ ერთმანეთს ებრძოდნენ. როსტომ მძლავრობდა შაჰაბაზის შემწეობით, და ჰგზავნიდა ურჩსა და ქვეყნის გულ-შემატკივარს ერისთევებს შაჰის კარზედ, სადაც მათ ამაჰმადიანებდენ. ერი მიეცა სასო-წარკვეთილებას და ნელ-ნელა იღებდა ხელს ქრისტეს სარწმუნოებაზე; ქართველს ქართველობა აღარ სწამდა. ამ უბედურებას კიდევ ზედ დაერთო ორი საშინელი და ძლიერი კაცის ერთმანეთთან ქიშპობა: ხონთქრის მურადისა და შაჰაბაზისა, რომელნიც ეომებოდენ ერთმანეთს საქართველოს განაწილების გულისთვის. ბოლოს ეს მტარვალებიც მორიგდნენ ერთმანერთს შორის და გაინაწილეს საქართველო: იმერეთი ჰხვდა ხონთქარს მურადს და ქართლ-კახეთი — შაჰაბაზს. ყველას ეგონა, რომ მოიწია ჟამი საქართველოს მოსპობისო. ხალხი უნდა გამაჰმადიანებულიყო.

*) ეს ისტორიული წერილი და ნახატებიც გადმოღებულია «კვალი»-ს მე 23 №-იდამ.

აი, ამ დროს წყვდიადის ზნელითა და სასოწარკვეთილებით მოცულ საქართველოს არეს ამოუბრწყინდა ნუგეშინისმცემელი ვარსკვლავი. ეს იყო მარიამ დედოფალი, მეუღლე როსტომ მეფისა.

ამ სახელოვანისა და საქართველოს დედა ბურჯის მოვლინება სწორედ ბუნების საკვირველებად უნდა ჩაითვალოს იმ ყოველ მხრით გარყვნილსა და წყალწაღებულს საუკუნეში. სად უნდა მიეღო ამ დედოფალს ის უმაღლესი ზნეობა და სათნოება, ის დაუცხრომელი მხნეობა ქრისტეს სარწმუნოების შესამაგრებლად, რომელიც მას ბუნების ხასიათებად შექმნოდა: თავის ტყვის გამყიდველისა და მრუშის ძმის ოჯახში, თუ მამის მკვლელის, პირველის ქმრის ხელში, თუ სპარსულს ზნე-ჩვეულებაზე აღზრდილის მაჰმადიანის ქმრების ხელში, რომელნიც შემდეგ თვით განგებამ წილად ახვედრა ამ წმინდა ქალსა.

1621 წელს ლევან დადიანმა მიათხოვა მამია გურიელის შვილს, სვიმონს გურიელს, თავისი 16 წლის ნაზი ვარდის კოკორი და, მარიამ, და გადიხადა დიდებული ქორწილი. სვიმონ გურიელი მომეტებული ბოროტი და უფლების მოყვარე კაცი იყო. ამ მტარვლის ხელში მარიამს მალე ეყოლა შვილი ოტია, რომლის სიყვარულმა და აღზრდამ, ცოტაც არის, დაავიწყა აუტანელი და მისი ზნის შეუფერებელი ცხოვრება.

1625 წელს სვიმონმა მოჰკლა მამა თვისი. ასეთმა აუტანელმა ბოროტებამ გამოიყვანა ბოლოს მოთმინებიდან ღვთის-ნიერი მარიამ; მან დააგდო ქმარი და წავიდა თავის ძმასთან ლევან დადიანთან, რომელმაც ბოროტებისათვის თვით სვიმონს ჩხუბი აუტეხა, შეიპყრო და დასთხარა თვალები.

1634 წელს როსტომ მეფემ ქართლისამ სთხოვა ლევან დადიანს ცოლად მარიამი, რომელსაც იმ დროს დიდი სახელი ჰქონდა სილამაზითა და სათნოებით დავარდნილი. ამას გარდა როსტომს სხვა განზრახვაცა ჰქონდა დადიანის დამოყვრებით. იმას ჰსურდა დაესუსტებინა ძალი თეიმურაზ მეფისა, რომელსაც მაშინ ეწეოდა იმერეთის მეფე გიორგი. მარიამს თან მოჰყვა თავის ცამეტის წლის შვილი ოტია. ეს საუცხოვო ყმაწვილი მისი დედის სიყვარულის გამო იშვილა როსტომ მეფემ და უმზადებდა საქართველოს ტახტს.

აი, ამ დროიდან იწყება დაუვიწყარი ღვაწლი მარიამ დედოფლისა საქართველოსადმი. მისმა სიყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულმა და სათნოებამ თვით მაჰმადიანს როსტომა გაულვიძა გულში ქრისტეს სარწმუნოების სურვილი და შაჰაბაზის ყურმოჭრილი ყმა მაჰმადიანი მეფე გარდაქმნა ქრისტეს სარწმუნოების მცველად და სასულიერო წოდების მფარველად, მარიამ დედოფლის სასიამოვნოდ მან განაახლა მცხეთია ეკლესია, სიონი, თბილისისა და ალავერდის ტაძარი კახეთში.

მარიამ დედოფალი ჰხედავდა, რომ მაჰმადიანი სარწმუნოება დღითი-დღე ძლიერდებოდა ქართველთა შორის, გადიდებულიყო ხორცის პატივი. ერის კაცი კი არა სამღვდელოებაც მიდრეკილი იყო არაწმინდობისაკენ. საღმრთო სჯულს მაგდენად აღარავინ ასრულებდა. მან განიზრახა ამოფხვრა იმისთანა ზნეზეულებისა, რომელიც ავიწყებდა ერს ქრისტიანულს მოვალეობას და სათნოებას. აი, ამის გულისთვის მისივე გავლენით მოხდა ქუთაისს მღვდელ-მთავართა კრება ქართული ერის სჯულისა და ზნის განსაწმენდად, რომ აეკრძალათ ტყვის ყიდვა, ცოლის მოტაცება, მრუშება, ერთმანეთის აკლება, აგრეთვე შელაგმათ თავ-გასული მაღალი სამღვდელოება და დაეყენებინათ ისინი მტკიცედ ქრისტეს სარწმუნოებაზედ. კრებაში მიიღეს მონაწილეობა ქართლის კათალიკოსმა მალაქიამ, აფხაზეთის კათალიკოსმა ეევდემონ, ქუთათელმა სეიმონ, გენათელმა ანტონ, ჭყონდიდელმა, ბედიელმა, მოქველმა, ლრანდელმა ფილიპემ, ცაგარელმა კოზმან, ხონელმა ზაქარია, ნიკორწმინდელმა იოაკიმ და ცარსელმა კირილე. ამათ განაჩინეს ზემოხსენებული ბოროტების მოქმედთა შერისხვა და შეჩვენება, რომელიც დაიწერა და დამტკიცდა კრებაზედ.

თვით მარიამ დედოფალი დღე-ნიადაგ შრომობდა, რომ ძირფასი ფარჩეულობით და ოქრომკედის ქაოვილებით შეემკო გაცარცული ეკლესიები სამღვდელო და სამღვდელ-მთავრო სამოსლებით, გარდამოხსნებით და წმ. ტრაპეზებში სახმარებელ საფენებით. იგი ხმარობდა აუარებელს სიმდიდრეს როსტომ მეფისას ეკლესიების დაცარიელებულ სატურტლების გასამდიდრებლად. თვით როსტომ მეფე შორს გამსჭვრეტი პოლიტიკოსი იყო; მან შეაყვარა თავი შაჰსეფის, რომელიც მას მამად უწოდებდა და ასაჩუქრებდა ურიცხვის სიმდიდრით. ამას გარდა როსტომ მეფეს წლიურ შემოსავლად ჰქონდა სპარსეთის შაჰისიგან დანიშნული რვა-ათასი ოქრო ისაპარისა და სხვა სპარსეთის სოფლებიდან; მთელი ეს სიმდიდრე შემოდიოდა მარიამ დედოფლის ხელში და იგი სპარსეთის ქვეყნებიდან მოდენილ ოქროთი და ვერცხლით აშკობდა საქართველოს ტაძრებს; ათონის და იერუსალიმის ქართულ მონასტრებს. მეფის სასახლეში ორნაირი დროს გატარება იყო. მარიამ დედოფლის მხარეზედ იკრიბებოდენ მღვდელ-მთავრები და ისმოდა მუდამ საღვთო გალობა, გალობდენ სადღესასწაულო საგალობლებს, ძილის პირებს; ხშირად კარის მღვდელ-მთავრები იყვენ იმის რჩევაში, თუ როგორ ამმაღლებიათ სარწმუნოება და ზნე ავა. როსტომ მეფის მხარეზედ კი იკრიბებოდენ სპარსელები, ატარებდენ მხიარულად დროს, მღეროდენ შვენიერს ჯამისა და ჰაფიზის ლექსებს. მდიდარმა სპარსულმა პოეზიამ იქონია ამ დროს გავლენა ქართულ საერო ლიტერატურაზედაც.

მარიამ დედოფლის გავლენით ყველა ერისთავთა და დიდებულთა ცოლები ამზადებდენ სამღვდელო და სამღვდელ-მონაზონ სამოსლებს; იმათაც აგრეთვე ჰქონდათ თავიანთ გარეწარს ქრმებზე კეთილი ქრისტიანული გავლენა. დღეს ქართლ-კახეთში მრავალი ეკლესია და მონასტერია, საცა საეკლესიო სახმარებელ საფენებზედ და წმინდა ჭურჭლებზედ მარიამ დედოფლის შეწირულება არის მოქარგული. ამას გარდა მან საღვთო ლიტერატურასაც მიაქცია ყურადღება, მისი გავლენით შეიესო საგალობლები; მაგრამ ყველაზედ უფრო დიდი ღვაწლი მარიამ დედოფალმა დასდო საქართველოს ქართულ მატიანის გამართვას. ერთი ცალი ქართლის ცხოვრებისა, მარიამ დედოფლის ბრძანებით გადაწერილი, დღესაც ინახება რუმიანცევის მუზეუმში და შეადგენს საუკეთესო წყაროს ჩვენის ისტორიისას.

მისის გავლენით აყვავდა მეჩოდმეტე საუკუნეში ახალი მიმართულების ხუროთ-მოძღვრება, მხატვრობა, და პალეოგრაფია, ხუცური ხელთნაწერის გაშვენიერება, ქარგვა და ოქრო-მკედის ქსოვილების გაუმჯობესობა. ამგვარი ზედმოქმედებით თავის ქმრებზედ: როსტომ მეფეზედ და ვახტანგ V (შაჰნავაზზედ) და კეთილი გავლენით მან ჩაუდგა ისევ ძლიერი სული ქრისტიანობას საქართველოში. ქართველებმა შეისვენეს, ძალი მოიკრიფეს და ამის მეოხებით აღარ შეუშინდენ მეთვრამეტე საუკუნის ქარიშხალს და სასტიკს ბრძოლას ეროვნების დაცვისათვის. ქართველმა ერმა მარიამ დედოფლის ქველ-მოქმედების წყალობით უშიშრად მოატანა მეცხრამეტე საუკუნემდის ქრისტეს

ჯვარი და თავისი ეროვნება. მან სძლია უსჯულოებას, იმის გამო, რომ ერის თვით-არსებობას შეურყეველ ბურჯად შეუდგა მარიამ დედოფლის ქველ-მოქმედება. არც ერთს სახელოვანს დედოფალს საქართველოსას მარიამ დედოფალზე მეტი ღვაწლი არ მოუძღვის თავის ერის წინაშე. მაშ რა მიზეზია, რომ ისტორიამ თამარ მეფე და ქეთევან დედოფალი დიდების შარავანდედითით შეამკო და მარიამ დედოფლის სახელი კი ძლივსღა თუ იხსენება? ამის მიზეზი წუთისოფლის უმადურობა და გამოუკვლეველობაა.

ნათქვამია, ბედის-წერა კაცს დედინაცვალიაო. მართლაც რომ მარიამ დედოფალს წუთისოფელი ავ დედინაცვალზე უარესად მოექცა. ამ საკვირველს ღვაწლ-შემოსილს საქართველოს დედას ამ სოფლის მწუხარების ნუგეშად ჰყავდა ერთად ერთი შვილი ოტია, რომელსაც მან ჩაუდგა თავის ქველ-მოქმედებითი სული და ამზადებდა საქართველოს ტახტზე საქართველოსავე გასაბედნიერებლად. მაგრამ მუხთალმა წუთი-სოფელმა არც საქართველოს გაუმართლა თავის იმედები და თვით დედაც ჯოჯოხეთის ცეცხლს მისცა საყვარლის შვილის უდროვო სიკვდილით. 19 წლის ოტია, სიძე ზაალ ერისთვისა, და საქართველოს ტახტის მემკვიდრე გამოეცალა ხელიდან უბედურს დედა შისს და გაუხწარა სიბერის ღღენი თვით როსტომ მეფესაც. «ოტია მიიცვალაო გორს—მოგვითხრობს მეძატიანე გორგიჯანიძე. შეიქნა დიდი გლოვა, ტირილი 12 ღღეს. იქვე გორს იყო ზარიანი ტირილი. ქართველნი ჯალაბობით, თავიანთ ჯარითა და შეძლებითა ზარის თქმით მოვიდენ უწინ მკვდართ მინსგავ ებულს, სახედახეულს, თმა-დაგლეჯილს, შვენება-შეშლილს, ტანსასმოსს სისხლით გასერილს, მიწაზედ მჯდომს, ღონე-იმედ-დაკარგულს ბატონს დედოფალს მიუტირიან, მერმე გამდელსა და ჩარიგებით მათ ეხლებლებსა, მერმე მეფესა და ჭირისუფლებსა, თავ ადთა და აზნაურთა, მსახურთა და მოხვლეთა, მერმე მკვდართა მიუტირებდენ და გარდასაბურავს გარდაფენდიან; ამას უკან იარაღსა და მორთულობასა, ტანსამოსსა, მურასა-გვირგვინსა და ჯიღასა და ხმალსა და ხანჯალსა, მუზარადსა და ჯაჭვსა და ხელნაევებსა და ცხენსა და მის შეკაზმულობასა, ყოველს ნიშანს ცალ-ცალკე მიუტირებდენ და ერთ წელიწადს არ გათავდებოდა. მეფემ ბრძანა, «ერთა გზაზედ მიმავალსა, ისრეცე ტირილში ერთმანეთს მიადენონ". დილით ზუადღემდისინ იტირებდენ და სამარობით ბზის ჩასვლამდისინ გამოიტირებდეს—მეფემ ბძანა «ვისაც აქ არ ეტიროსო, გზაზედ მოგეტიროსო, ან ცხეთას იტირონო». და რაც მკვდარს თავს ადგენ კათალიკოზი, ეპისკოპოზი და ბერნი და მღვდელნი რომ სახარებას კითხულობდენ, ასევე ბატონს დედოფალს ადგენ მონაზონნი, ჩოხოსანი და ამ სოფლით განდგომილნი ღვთის მონებაზედ მოწონებულნი დედანი, ქალწულნი ცრემლის ფრქვევით სახარებას დ დავითნს კითხულობდეს. ქართველნი ძაძითა და ზავით შეიმოსენ ლასტიჯინ, (ლოროული) დაეწყენენ, ვითა კუბონი, და ბატონი დედოფალი, ვითაც მკვდარი მაშიგ მიიღეს და ზედ შავი ზეწარი გარდაბურეს. ქვეშ თავადნი და მათი შვილები შეუსხდეს საკაცეს ქვეშა. საქართველოს ჯარები, ვითაც დროშები წინ წაიძღვანეს და ამ ვაებით სწორზედ გორიდამენ ცხეთას წავიდენ და ბატონის დედოფლის შვილი საფლავს მიიღეს. ორმოცამდი ცხეთას იდგნეს, ხსნილის დღეებში ასი ძროხა და ცხვარი დაიკელოდა, მარხვის ღღეებში ათასი ხმელი თევზი გაიჭრებოდა. ამ 40 ღღეს დედოფალს მარილიანი ვერ აქამეს, ქერის პურის მეტი მას არა უჭამია-რა. ბატონმა დედოფალმა თავისი შვილის ქონება ზოგი იერუსალიმს გაგზავნა, ზოგი საყდართა და მონასტერთ შესწირა და შვილის საფლავი მოაფენინა, სომხეთში დარბაზის სოფელი სვეტიცხოველს შესწირა».

«ოცს წელიწადს ბატონმან დედოფალმან არც ხორცი ჭაჭა და არც შავი გამოიცვალა». დანარჩენი ქამი მარიამ დედოფლის ცხოვრებისა კიდევ უფრო მტლად დაედვა საქართველოს და მის ქრისტეს სარწმუნოების გაძლიერებას. როსტომ მეფის სიკვდილს შემდეგ შაჰის ბრძანებით ეახტანგ V, შაჰნაზმა, შვირთო დედოფალი მარიამ და ამ მაჰმადიანის მეფის გული კიდევ უფრო მოალბო ქრისტიანობისა და საქართველოს ერის კეთილდღეობის გულისთვის.

„ნეტარ არს მიწა, სად დედაკაცი
ერთა სიკეთის ბურჯად გამხდარა.
კაცთა გონების საუნჯის დამცვი,
სამშობლოს ნათლის სვეტად დამდგარა:
სად შთამოვება მის მტკიცე მცნებას—
ტომის სიყვარულს გულში ითვისებს,
მამულისთვინა თავ-გამეტებას
და მისთვის სიკვდილს დედის რძით ირგებს".

გ. წერეთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ.

(წერილი მეოთხე)

წინა წერილში ჩვენ მოვიხსენიეთ სხვათა შორის ისიც, თუ რამდენად, სკოლის საქმის კარგად წარმოებისათვის, აუცილებლად საჭიროა მასწავლებლის მხრით წინ და წინ რიგიანად მომზადება გაკვეთილებისა—ამას დავსძენთ კიდევ ერთს არა ნაკლებ საჭირო პრაქტიკულ საშუალებას.

ყოველ სასწავლებელს აქვს თვისი განსაკუთრებითი პროგრამმა, თავისი ცხადად წინდაწინვე მომზადებული გეგმა სწავლებისა, რომლის გონიერად შესრულება შეადგენს უმთავრესს გამოცანას სკოლის და მასწავლებლის მხრით. ამ საქმეში გამოუცდელ მასწავლებლებს შემდეგი უმეცრება მოსდისთ: მასწავლებელი არ აქცევს ყურადღებას დროს სწავლებისას; მოწაფეთა ძალის და სკოლის შეძლების მიუხედავად ზოგი მასწავლებელი დიდის გულსმოდგინებით ჰკიდებს საქმეს ხელს, პირველ დღიდგანვე ცდილობს გადასცეს სასწავლო საგნების მასალა სრულიად, დაწვრილებით. ამ ნაირად პროგრამმის ერთი ნაწილის შემუშავების დროს მასწავლებელი ვერ ამჩნევს, რომ დრო თან-და-თან ჩქარა მირბის და თვითონ კი ნელ-ნელა მიიწევა წინ. ბოლოს სამოსწავლო წელიწადიც გათავდება და მასწავლებელი მხოლოდ მაშინ შენიშნავს, რომ ძრიელ ფართოდ მოუკიდია საქმისათვის ხელი. სწავლა თავდება და მასწავლებელს ამ გვარი შრომით პროგრამმის ერთი ნახევარიც ვერ მოუსწრია, ვერ გაუვლია. მასწავლებელი ცხადათ ხედავს, რომ პროგრამმის შესრულება მოუხერხებელია და უეჭველია ბევრს ამ შემთხვევაში უკმარობის გრძნობაც დაებადებათ, მაგრამ—

წამხდარსა საქმეს რას არგებს მერმე თითზედა კბენანი.

ზოგი მასწავლებელი კი ამ შემთხვევაში გულგრილად გაიძახის, რაც შემეძლო ვასწავლე, გავაკეთე და მეტი მე არ შემიძლიანო. ზოგი ასე არ იქცევა: როცა ხედავს, რომ წლის ბოლოს პროგრამმა ვერ შეუსრულებია, რაც ძალი და ღონე აქვს, ადიდებს სიმუშაოს, აძლევს მოწაფეებს ვეება გაკვეთილებს, ჩქარობს შეასრულოს პროგრამმის მოთხოვნილება და ათავებს მით, რომ თავის ს ჩქარით აფუჭებს იმასაც, რაც წინად ჰქონდათ ბავშვებს შეგნებული. არაოდეს სწავლების საქმეში სიჩქარე კეთილ ნაყოფს არ მოიტანს—პოეტის სიტყვებს: «ზოგჯერ სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა»—ისე არაფერ საქმეში არა აქვს საპატიო ადგილი, როგორც პირველდაწყებით სწავლების საქმეში,—რადგანაც სწავლება უნდა მოხდეს შეგნებულად, მკვიდრად და საფუძვლიანად, მისთვის რომ სხვანაირად შეძენილი სწავლა სკოლიდამ გამოსვლის შემდეგ, მალე გაეპარებათ ბავშვებს თავიდგან; ამიტომ მასწავლებელი თავიდგანვე უნდა ზრუნავდეს, რომ უბრალოდ, ცხადად და ადვილ-გასაგებად, პირდაპირ გზიდგან გადაუხვევლად, განუმარტოს ბავშვებს რომელიმე საგნის სასწავლო მასალა ისე, რომ ბავშვმა მკვიდრად, ცხადად შეითვისოს, შეისისხლხორცოს არსებითი მხარე სასწავლო საგნისა. ძველი რომაელები ამბობდენ: «non multa, sed multum» (ცოტა, მაგრამ ბევრიო) მხოლოდ იმას შეითვისებს და შეისისხლხორცებს ბავშვი, რაც ცხადად ესმის, გაეგება. ეს არის ის ბევრი, რაზედაც უნდა ზრუნავდეს მასწავლებელი. ერთმა საპატიო პედაგომა ნეგელსბახმა სთქვა: კარგი მასწავლებელი მხოლოდ ის არის, რომელიც გაკვეთილების დროს სულ განსაკუთრებით გაკვეთილების გადაცემაზე ფიქრობსო, მაზედ ამყარებს ყველა თავის ძალას, ყურადღებას და ცდილობს რომ კლასში სამეცადინოდ დანიშნული დრო მოახმაროს განსაკუთრებით მას, რომ მოსწავლემ რიგიანად შეითვისოს სასწავლო მასალაო».

ზემოდ აღნიშნულ შეცდომების თავიდამ აცილებისათვის ჩვენ ვურჩევთ პირველ-დაწყე მასწავლებლებს შეიგნონ პირველ-დაწყებითი სკოლების მიზანი, დანიშნულება, განსხვავება მეცნიერებასა და სკოლაში სასწავლო საგნებს შუა. ზოგიერთი საგნების, როგორც მაგალითად ქართული ენის გრამმატიკაა—ან სხვა საგნები—მეცნიერულად მათი შესწავლა პირველდაწყებით სკოლებში შეუძლებელია, მაგრამ ელემენტარული ცნობები ყველა ამ საგნებიდგან ადვილად მისაწდომია ყველა ბავშვებისათვის. მაშასადამე ყველა მასწავლებელი, ვისაც უნდა რომ მიზანს მიაღწიოს, უნდა ცდილობდეს, ზრუნავდეს, რომ თვითონ ცხადათ წარმოიდგინოს ყოველივე, რაც შესაძლებელი და შესაფერისია გარდაეცეს პირველდაწყებით სკოლის მოწაფეებს. ყველა სკოლას აქვს განსაზღვრული დრო წლიური სწავლისა, განსაზღვრუ-

ლი რიცხვი წლიური გაკვეთილებისა. ამის მიხედვით მასწავლებელმა წინდაწინვე უნდა ყოველიევ, გავლილი პროგრამის ძალით სამოსწავლო წლის განმავლობაში, გაკვეთილების რიცხვის თანახმად გაყოს ნაწილებად, განყოფილებად—თუნდ კვირაობით—შემდეგ მიიღებს რა მხედველობაში ნელა მსვლელობას სწავლებისას, როგორც ეს ყოველთვის უნდა იყოს, მასწავლებელი უნდა ცდილობდეს გაათავოს დანიშნულის დროს განმავლობაში აღნიშნული ნაწილი სასწავლო პროგრამმისა. ამ ნაირად მასწავლებელს შეძლება ეკნება მუდმივი თანასწორობა დაიჭიროს მოწაფეების მეცადინეობაში, აიცილოს თავიდგან წლის ბოლოს აჩქარება, მოწაფეების ძალდატანება, მოკლედ გაელა საგნისა, ანუ პროგრამმის შეუსრულებლობა. უმჯობესია, რომ სასწავლებელმა წინდაწინვე მოიფიქროს, მოისაზროს საქმე, ვიდრე ბოლოს ინაღელოს. ამ მხრით მასწავლებელი უნდა ბაძავდეს გონიერ მეოჯახეს, რომელმაც კარგად იცის ზომა თავისი შემოსავლისა, რომელსაც შეუფარდებს გასავლის ანგარიშსაც. თანასწორობის დაუცველად მეოჯახე მალე ჩავარდება სიღარიბეში, წინდაწინ მოსაზრებით, წინდახედულობით კი შეიძლება უვალოდ და რიგიანად ცხოვრებაც.

მასწავლებლის გამოუცდელობა, უვიცობა ხშირად გამოიხატება მოწაფეების ცუდის პასუხის დროს. მოწაფეების ცუდ პასუხს ზოგი მასწავლებელი ძლიერ სასტიკად უყურებს და სჯის მოწაფეს შემდეგის საბოლოო განაჩენით: «მენ არაფრის შეგნება არ შეგიძლია, უნიჭო ხარ! შენი უნიჭობა ცხადია და სხ.» ან და მასწავლებელი, ცმაყოფილი მოწაფის სუსტი პასუხით, ზომაზედ მეტს ბეჯითობას იჩენს, თვითონ კი არ შველის მოწაფეს რიგიან პასუხის მიცემაში, თვითონვე იძლევა მზა პასუხს. რასაკვირველია, ორივე შემთხვევას დიდი ზარალი და მაგნებლობა მოაქვს. პირველს ის შედეგი მოჰყვება, რომ მოწაფე მთლად ჰკარგავს მხნეობას, ენერგიას, რადგანაც ხედავს თავის მეცადინეობის უნაყოფობას, ვარდება სასოწარკვეთილებაში. მეორე შემთხვევაში ეჩვევა დაუდეგნელობას, უთაურობას სამუშაოში იმ რწმენის მიხედვით, რომ მასწავლებლის მოწყალებითი მიხედვა ყველაფერს დაფარავს. ხშირად მოწაფის სწავლაში დაქვეითება არის ნაყოფი მასწავლებლის უყურადღებობისა, უმეცრებისა. მასწავლებელი თავის სიტყვა-პასუხში მოწაფეებთან ძალიან თავდაჭერილი და წინდახედული უნდა იყოს. არასოდეს ბავშს არ უნდა უთხრას მასწავლებელმა, უნიჭო ხარო ან სხვა რამე ამ გვარი ადამიანის პიროვნების შემლახავი სიტყვები. ხშირად ამ ნაირ განაჩენზე არის დამოკიდებული ბავშვის მომავალი. ძნელია განისაზღვროს ბავშვის ნიჭიერების ზომიერება საზოგადოთ. შეიძლება რომ ბავშვის უნიჭოების მიზეზი იყოს ბავშვის სულიერი ძალის გვიან გასხნა, ან სხვა რამე შემთხვევითი გარეგანი მიზეზი—ყოველ შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს მასწავლებლებს, რომ როდესაც საზოგადოებაში, ტოლ-ამხანაგებში ვამცირებთ ბავშვის მისის თავმოყვარეობის შემლახველ ეპიტეტებით, მაშინ ეკლავთ ჩვენ მოწაფეში თავის ძალისადმი რწმენას, ამ ნაირად მოწაფის მომავალ შრომას უმიზნოდ ვრაცხთ,—ამის გამო შეიძლება ბავშვის ზნეობრივად აღზრდის მაგიერ გავაგიჟოთ კიდეც; ამიტომ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ბავშვები არიან მომავალი კაცობრიობის, რომელიც მხოლოდ მაშინ მიდის წინ, თუ ჰყვანან კარგი, გონიერი, დახელოვნებული ახალ თაობის აღმზრდელები. «ისა სჯობს მამულისათვის, რომ შვილი სჯობდეს მამასო», ჩვენი ხალხიც ხომ ამას ამბობს. თუ მოწაფე მცირე წარმატებას იჩენს სწავლაში, გაკვეთილებს ვერ ამზადებს, ამის გამო მასწავლებელმა უცებ თავის დასკვნა არ უნდა შეადგინოს.—საჭიროა მასწავლებელმა გამოიკვლიოს მიზეზები ბავშვის მცირე წარმატებისა სწავლის საქმეში. ხშირად მოწაფე მისთვის ვერ იჩენს ნიჭიერებას—ბეჯითობას, რომ ან ჯანმრთელად არ არის სრულიად და ან საჭიროდ შესაფერისად გონება გახსნილი არ არის და ან ვერ შეუგნია კარგად სასწავლო საგნების ახსნა და სხვა. გარდა ამისა მოწაფეების სწავლებაში დაქვეითება იმის გამოც მოხდება ხოლმე, რომ მოწაფეებმა არ იციან როგორ უნდა მოჰკიდონ გაკვეთილების სწავლის საქმეს ხელი. ყველა ამ ზემო მოყვანილ შემთხვევებში, რასაკვირველია, ერთი და იგივე ზომები საჭირო ნაყოფს ვერ მოიტანს. აქ ყველა მიზეზებს თავისი შესაფერი ზომა ესაჭიროება და ამ გვარ ზომებს უნდა აქცევდეს ყურადღებას მასწავლებელი.

მაგალითად ერთი საქმეა, რომ მასწავლებელმა ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, თუ როგორ სწავლობენ ბავშვები გაკვეთილებს სახლში, გაკვეთილების მომზადებაში მოწაფეები, რასაკვირვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია, შემწეობას, ხელმძღვანელობას თხოულობენ, როგორც კლასში, ისე კლასს გარედაც. ბავშვებმა თუ არ იციან, როგორ უნდა მოჰკიდონ გაკვეთილების სწავლებას ხელი—ჩვეულებრივ დაიწყებენ სიტყვების შეუგნებლად გაზეპირებას წიგნში. ამ გვარი გარემოების მსხვერპლი ბევრი იყო ძველად, უფრო სასულიერო სასწავლებლებში და ზოგან ეგონენ ეხლაც არის უფრო იქ, სადაც უცხო ენებს უცხო ენების საშუალებით ასწავლიან და ან პირველ განყოფილების შაგირდს სალმრთო წერილსაც უცხო ენაზე ასწავლიან—და სხვა. ამ ნაირი მოელენა ჩვენს საერო სასწავლებლებში ხომ ჩვეულებად არის გადაქცეული. თუ მასწავლებელი რიგიანად ჰშველის მოწაფეებს გაკვეთილების მომზადებაში სკოლის გარედაც, სახლში ეჭვი არაა საქმე კარგად და მარჯვედ წავა. ბევრი ეხლანდელი პედაგოგები წინაღმდეგნი არიან სახლში გაკვეთილების მიცემისა, განსაკუთრებით პირველდაწყებით სკოლებში, სადაც ხანდახან ამისათვის არც დრო არის და არც ადგილი, მაგრამ თუ მასწავლებელს წესად აქვს გაკვეთილების მიცემა—უნდა ეცადოს, რომ დანიშნულს მიზანს მიაღწიოს. პირველი გაკვეთილები საზოგადოთ ყველა სკოლაში უნდა ისწავლებოდეს, მზადდებოდეს მასწავლებლის ზედამხედველობით და ხელმძღვანელობით. ამიტომ მასწავლებელი, როდესაც სახელმძღვანელოებს ურიგებს, უნდა ცდილობდეს დაკვირვებით, გულმოდგინეთ გადათვალიეროს ის და მიაქციოს განსაკუთრებითი ყურადღება ბავშვებისათვის უფრო ძნელ გასაგებ ადგილს. უკეთესი საშუალებანი ბავშვების მეხსიერებაში გაკვეთილების შთაბეჭდისათვის არიან სამოსწავლო ვარჯიშობანი, რომელშიდაც მონაწილეობას იღებენ ყველა მოწაფეები. თავის თავად ალალბედზე მიტოვებულ ბავშვს შეუძლიან ბევრი იმუშაოს და გაიზეპიროს კიდეც გაკვეთილები, მაგრამ ამ გვარად ნასწავლი მალე დავიწყდება, რადგანაც უმეცრულად ჰკიდებდა საქმეს ხელს: სწავლობდა გაკვეთილებს უთაებოლოდ, უაზროდ.

ლ. ბოცვაძე

ობოლის ქალის ტირილი.

დედის საფლავთან ათის წლის
მივიდა ობოლი ქალი
და მიცვლილს მშობელს ამ სიტყვებს
თავსა დასძახის მტირალი:
«შენ გენაცვალე, დედილო,
დამინუგეშე გულია;
მას უკან, რაც შენ მომშორდი,
ვარ მეტად დაჩაგრულია.
ბატონობს დღეს ჩვენს სახლშია
ბოროტი დედი-ნაცვალი,
მიბდვერის მტრულის თვალითა
და ვეჯავრები საწყალი.
მწყევლის, სხვის შვილსა მეძახის
და მიგრიჭნების კბილებსა,
მჩქმეტავს, ტანზეცა ხორცს მწიწკნის
და მიმტვრევს ცემით გვერდებსა.
თუ თავსა მვარცხნის—სისხლს მადენს,
ბურს მიჭრის—დანას მიდერებს
და ბეზდაობით მამასაც
ჩემზედა გულსა უგრილებს.
მადვიძებს რიყრაკ დილაზედ,
საქმობას დამაწყებინებს
და თითქმის შუადამემდის
ჯაფას არ შემაწყვეტინებს.
რა დავიდლები შრომითა,
მიმეძინება კუნჭულში
შენ, საყვარელო მშობელო,
ხშირად განახულობ მე ძილში.
შენის მშობლურის ალერსით
სიზმარში გული მიტკბება,
მაგრამ რა ცხადად ვერ გხედავ,
ცრემლები მომედინება.
ვიდა მაღირსებს ბედკრულსა
ალერსსა შენისთანასა.
ვინ მანუგეშებს ჭირშია,
ან ვიდა მიმდერს ნანასა?!
ვინ ჩამიხუტებს გულშია,
მკლავზედ ვინ მიმისვენებსა,
ვინ შემიკერავს კაბასა,
ბერანგს ვინ ამიჭრელებსა?!

გადავაგორებ ლოდ ქვასა,
შენსა საფლავზედ დადებულს
და გავთხრი შავსა მიწასა,
რო დასწოლია შენს გულსა
და მოვასხურებ მდუღარე
ცრემლით შენს ძვირფასს სხეულსა,
ოღონდ შემპირდი აღდგომას
ტიალ ობლობით ჩაგრულსა.
თუ არ ადგები, დედილო,
შენ გენაცვალე სულშია,
მეც ჩამიყვანე საფლავში
და ჩამიხუტე გულშია.
ეგებ მეც შენთან ვეღირსო
მანდ ტკბილსა მოსვენებასა
და მით ავშორდე ამ სოფლის
ცრემლსა და მწუხარებასა!»
ასე დასტირის ობოლი
ქალი მშობლისა სამარეს,
მაგრამ არ ესმის ტირილი
დედას მიწაში მდებარეს.
მხოლოდ ნიავი იტაცებს
იმის მოთქმის ხმას მწარესა
და უზიარებს გულ-გრილად
გულცივსა არე-მარესა.

ილ. ფერაძე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრებამ საბოლოოდ გარდასწყვიტა სასწავლებლის პანსიონის დახურვა, და ნაცვლად 30 პანსიონერის შენახვისა, 48 მოწაფეს დაუნიშნა ფულით შემწეობა (სტიპენდია). ამ კრებაზედ ბევრი საყურადღებო კითხვები იყო აღძრული, რომელთა შესახებ შემდეგ №-ში მოვუთხრობთ მკითხველს.

***

დავით აღმაშენებლის მეგლის დასადგმელად და სამღოცველოს განსაახლებლად და წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს კუბოს მოსაპოებლად ჩვენ მივიღეთ სამას ოცდა ორი (322) მანეთი რაჭაში შეკრებილი. ამ ფულებისა ჩვენ გვქონდა 1912 მ. 52 კ. ეხლა არის 2234 მ. 52 კ.

***

დაიბეჭდა და ისყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში მღვ. ნესტორ ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი და გამოცემული პატარა წიგნი **მამა დავით გარესჯელი**. ფასი წიგნისა 10 კ.

***

ამ თვის 12, სოფელს ხორითში გარდაიცვალა მღვდ. ამბაკო ვეფხვაძე შობიდგან 50 წლისა. განსვენებული, შემდეგ საღმრთო წერილის შესწავლისა ჯრუჭის მონასტერში, იქმნა ხელდასხმულ მთავარდიაკვნად 1870 წ.; ხოლო 2 წლის შემდეგ მღვდლად გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ. პირველად მსახურებდა სოფელ ლიჩში და შემდეგ გადაყვანილ იქმნა სოფელ ხორითში. სულ უმსახურნია მღვდლად 23 წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში განსვენებულს ისეთი სიყვარული დი სახელი დაუმსახურნია თავის მრევლში და აგრეთვე გარეშე სოფლების მცხოვრებთაგან, რომ ყველას დანაღდა მისი სიკვდილი, რადგან იცნობდენ მას, როგორც პატიოსანს, ერთგულს ღვთის მოსამსახურეს, კარგ საღმრთო წერილის მცოდნე, მხნე და ყველასათვის მოსიყვარულე მოძღვარს. განსვენებული მართლაც იყო სამაგალითო და საყვარელი მწყემსი თვისთა ცხოვართათვის. განსვენებულს დარჩა ობლად და საწყლად ორი ვაჟი და მეუღლე, რომელიც თურმე დაუძლურებულია ავადმყოფობით.

სწავლა კეთილზნეობასა და სარწმუნოებაზე.

მამა დავით გარესჯელი.

(დასასრული *).

VI

ამის შემდგომ გაიიდა რამოდენიმე დრო და იმ უდაბნოში, სადაც მოღვაწეობდა მამა დავითი ლუკიანეთურთ, კახეთიდგან მოვიდენ მონადირენი, რადგანაც იქ იყო ბევრი ნადირი: ირემი, გარეული თხა და სხვა. მონადირეებმა შეხედეს დავითის ირმებს, რომელნიც ვიწრო კლდისკენ მიდიოდენ და გამოუდგენ. მათ იფიქრეს: ვიწრო კლდეში ადვილად მოვკლავთ ირმებს და ხელთ ვიგდებთო. ირმები ჩვეულებისაებრ მოვიდენ დავითთან და ლუკიანემ დაუწყო მათ წველა. ამ დროს მონადირეებმაც მოაღწიეს და, რომ დაინახეს ირმები ცხვრებივით გაჩერებულნი და ლუკიანე მწველელი მათი, ძლიერ გაკვირდენ. თაყვანისცეს ბერს და სთქვეს: «ჰოი, წმიდაო ღმერთო!

*) იხ. «მწყემსი» № 11, 1893 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არს უცხო ესე საკვირველი, რომელსა ეხედავთ, რომ ეს ირმები—გარეულნი ნადირნი, ისე სიმშვიდით მდგომარე არიან, როგორც შინ გაზდილნი ცხვარნი». ბერმა სიმშვიდით მიუგო მონადირეებს: «რათ გიკვირთ დიდებულება ღვთისა, რომელი ყოველ დაბადებულს ზრდის (ფსალ. 103, 11—29), ჩვენც უძლურთა ამათ გვზრდის ამა ნადირთაგან, რამეთუ ჩვენ ყოველი მო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონადირე ძლიერ გაკვირდა და მადლობა შესწირა ღმერთს; მერმე ტირილით სთხოვა დავითს, რომ მას განეკურნებია მისი შვილი, რომელიც ყავდა მას ხელფეხ გამხმარი. მონადირემ უთხრა დავითს: «მრწამს, უკეთუ ევედრო შენ უფალსა შენსა მისთვის, გისმენს უფალი და უკეთუ განიკურნოს იგი, უმეტეს იდიდოს სახიერება უფლისა, მე და ყოველმან ნათესავმან ჩემმან მივიღოთ ნათლისღება, ვაქებდეთ და ვადიდებდეთ მას და ვიყოთ მსახურ სიწმიდისა მისისა». როგორც იესო ქრისტემ უთხრა მეფის კარის კაცს: წადი ძე შენი განკურნებულ არსო და განიკურნა ძე მისი (იოან. 4, 46—54), ეგრეთვე მამა დავითმა უთხრა: «წადი შინ და პოვო ძე შენი განკურნებული». ბუზაქარ (მონადირეს ბუზაქარ ერქვა) წავიდა სიხარულით და მართლა განკურნებული დახვდა ძე თვისი, რომელიც დიდი სიხარულით და ხტომით გამოეგება მამას. წინეთ კი მას ხელით აყენებდენ და დაყავედათ. ბუზაქარ გადმოხტა ცხენიდან, მადლობა შესწირა ღმერთს და თავის ცოლშვილს უამბო ყოველივე გარემოება. ყველა მისი ნათესავნი დიდი სიხარულით ადიდებდენ ღმერთს საკვირველებათა მოქმედს. მეორე დღეს ადრე ბუზაქარმა დატვირთა სახედრები პურით და მწვანილით, წაიყვანა განკურნებული ძე თვისი და მოსამსახურენი და წავიდა მ. დავითთან უდაბნოში; მივიდა და მიართვა მას პური და მწვანილი, მიუყვანა ძე თვისი და მადლობა შესწირა ღმერთს და დავითს მონასა უფლისასა. დავითმა ბუზაქარ, მისი შვილი და მოსამსახურეები ლოცვაკურთხევით მოიკითხა, მერმე შეკრიბა ძმანი—მოღვაწენი, ყველას განუყო ბუზაქარის მოტანილი პური და მწვანილი და ისადილეს. ხოლო ბუზაქარს ჰკითხა: რა უნდა რომ სთხოვოს მას? ბუზაქარმა სთხოვა მონათვლა თვისი და თავის ნათესაობის. მ. დავითმა გაატანა მათ მღვდელი, რომელმანც მონათლა ბუზაქარ და სახლეულობა მისი. შემდგომ ამისა ბუზაქარ კიდევ მოვიდა დავითთან, მოიყვანა მუშები, გამოაკვეთინა კლდე და გააკეთა ეკკლესია სალოცავად მოღვაწეთა.

VIII

შემდგომად ამისა გავიდა რამოდენიმე დრო, და მამა დავითმა მოინდომა ქალაქ იერუსალიმს გამგზავრება წმ. ადგილების თაყვანისსაცემლად და მოსალოცავად. თავისი ჰაზრი განუცხადა თავის მოწაფეს ლუკიანეს და უთხრა, რომ ის დარჩენილი ცოდვების მოტევებას». მონადირემ კიდევ კითხა: «ვინა არს აქა მზრდელი შენი და ნუგეშინისმცემელი»? დავითმა მიუგო: «რომელსა მე ვესავ—რომლის იმედი მე მაქვს—და თაყვანსვსცემ, იგი არს მზრდელი ჩემი; ხოლო შენ დატოვე ფრინველი ესე, რომელიც ჩემთან მოვიდა და სხვაგან წადი სანადიროთ». ამაყად ცხენზე მჯდომარემ უთხრა დავითს: «ჰოი, საწყალობელო ბერო! მე შენი მოკვლა მინდა და შენ ფრინველის გაშვებას მეუბნები; ჯერ შენ უნდა შენი სიცოცხლე გეთხოვა ჩემთვის». ღმერთი იფარავს ყოველ თავისს ქმნილებას და მეტადრე ღვთის მოშიშს და მორწმუნე კაცს (ფსალ. 35, 7; იოვ. 10, 12; მათ. 10, 6—7; ლუკ. 11, 18) და ამიტომ დავითს ღვთის იმედი ქონდა, რომ ღმერთი დაიფარავდა მას ამაყ მონადირის ხელისაგან და დამშვიდებით უთხრა მას: «შენ არა გაქვს არც ჩემი მოკვლის და არც ჩემი გაშვების უფლება და არა თუ ჩემი, ამ ფრინველის მოკვლის უფლებაც არა გაქვს, ღმერთი ჩემი შემწე არს და ის დამიფარავს მე შენის მუქარისაგან». ამის გამგონე ამპარტავანმა მონადირემ ამოიღო მახვილი და უნდოდა მოეკლა მამა დავითი, მაგრამ ღვთის განგებით ჰაერში აღმართული ხელი, რომელშიაც მახვილი ეჭირა დავითის დასაკრავად, გაუშეშდა და ვეღარ მოხარა. მაშინ გაიგო მან ძლიერება ღვთისა, ჩამოხდა ცხენითგან, დაეცა პირქვე დავითის წინ და თხოვდა მას ცრემლით შეცოდების პატიებას და თავის განკურნებას. დავითს მასზედ გული შეტკივდა და ევედრა ღმერთს მის განკურნებას: «უფალო, იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, სახიერო და კაცთ მოყვარეო, რომელმან შეიწყნარე მვედრებელი შენი, რომელსაც ხელი გამხმარი ქონდა და განკურნე იგი (მათ. 12, 10—13; მარკ. 3, 1—5; ლუკ. 6, 5—10), ეგრეთვე, მეუფეო, განკურნე ხელი ამ საწყალობელ კერპთ-თაყვანის მცემლისა, რომელმან ამაყობით აღილო მარჯვენე თვისი ჩემზედა—უღირსისა ამის მონისა შენისა, რომ გულის ხმა ყოს და გიცნოს შენ ღმერთი მხოლო მოქმედი საკვირველებათა». ამ ლოცვის შემდგომ დავითმა შეახო თავისი ხელი მონადირის ხელს და განეკურნა მონადირეს ხელი, მსგავსად იმისა, როგორც იერობუამ მეფეს, რომელსაც უნდოდა დაჭერა ღვთისაგან მივლინებულ წინასწარმეტყველისა, შეახმა ხელი და მერმე იმავე წინასწარმეტყველის ლოცვით განეკურნა მას ხელი (3 მეფეთ. 13, 4—6).

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ⴈერუსალიმისა; ხოლო შენ გაადევნე ფეხმალნი კაცნი, რომ დაეწიონ მას, ის არის შემოსილი დაბებკული სამოსლით და თან აქვს ძველი მალაკი, რომელშიაც უწყვია სამი ქვა, და უთხარ მათ, რომ ორი ქვა გამოართვან და მოიტანონ Ⴈერუსალიმშივე და ერთი ქვა მისცენ მას და უთხრან ეგრეთ: ამას გიბრძანებს შენ Ⴘფალი: შენი სარწმუნოებისათვის მიგილია შენ მადლი ქალაქისაგან ჩემისა წმიდისა Ⴈერუსალიმისა, ხოლო მე მნებავს, რომ ორი ნაწილი უკანვე დავაბრუნო Ⴈერუსალიმამდე და მესამედი იგი მომიცია შენთვის წილებად უდაბნოსა შენსა, წადი მშვიდობით, წმიდა ყავ იგი შენი მისვლით და იქ განისვენო შენ». Ⴀმ ჩვენების გამო პატრიარქი ძლიერ გაკვირდა და ყოველივე აღასრულა ისე, როგორც უბრძანა მას Ⴘფალმან. პატრიარქის გაგზავნილი კაცები დაეწიენ მ. Ⴃავითს, იცვნეს იგი და ყოველივე უამბეს, ორი ქვა გამოართვეს და ერთი მისცეს მ. Ⴃავითს. მამა Ⴃავითი ძლიერ გაკვირდა ამ შემთხვევის გამო, დავარდა პირქვე მიწაზე, ცრემლით ასველებდა დედამიწას და ადიდებდა ყოვლად წმ. სამებას: «დიდება შენდა Ⴖმერთო ჩვენო, მამაო უშობელო, მიზეზო ყოველთა კეთილთა; დიდება შენდა ქრისტე Ⴖმერთო ჩვენო, მხოლოდ შობილო ძეო, მხოლოსა მამისაო; დიდება შენდა, სულო წმიდაო, მამისაგან გამოსულო და ძისათანა დიდებულო; სამებაო წმიდაო ერთ არსებაო, Ⴖმერთო ყოველთაო, რომელმან ღირს იჩინე ჩემზედაცა ცოდვილსა ამას და უღირსსა მონასა შენსა, მომხედენ სახიერებისა შენისათვის და არა უგულებელს მყავ მეედრებელი შენი პოვნად შენ მიერისა წყალობისა». დიდების შეწირვის შემდგომ მამა Ⴃავითი დაბრუნდა Ⴂარესჯას და რამოდენიმე დროების შემდგომ მოვიდა თავის უდაბნოში და მოიტანა ქვა მადლისა. ძმანი—მოღვაწენი დიდი სიხარულით მიეგებენ თავის სულიერ მწყემსს და ადიდებდენ Ⴖმერთს, რომ კიდევ დაუბრუნა მათ მწყემსი თვისი. Ⴚოტა დრო კიდევ გავიდა და მოვიდენ Ⴈერუსალიმითგან ის მოღვაწენიც, რომელიც წავიდენ Ⴃავითთან ერთად Ⴈერუსალიმს და უამბეს ძმათა ყოველივე, რაც კი ნახეს და გაიგონეს Ⴈერუსალიმში. Ⴀქ ამბავის გამგონენი ყოველ დღე და ყოველ მხრითგან მოდიოდენ უდაბნოში და ეს უდაბნო ძლიერ გადიდდა.

IX

Ⴋამა დავითს ძმათა—მოღვაწეთა შეკრება და უდაბნოს გადიდება ძლიერ უხაროდა. ზოგი მოღვაწეთაგანი...

ყო უდაბნოში წინამძღვრად მოღვაწეთა—ძმათა. Ⴊუკიანე, ამ სიტყვების გამგონე, ძლიერ დაღონდა, შეწუხდა და უთხრა მ. Ⴃავითს: «წმიდაო მამაო! ჩემი სიკვდილის დღემდე ვერ განვშორდები შენ და მეც შენთან უნდა წამოვიდე». მამა Ⴃავითმა მიუგო: „ძმაო! რად იტყვი Ⴖვთის წინააღმდეგ სიტყვას, თუ ჩვენ ორნივენი წავედით, ჩვენი შრომა ცუდად ჩაივლის: Ⴖვთის სადიდებლად ჩემგან შეკრებილნი ძმანი ხელმეორედ გაიბნევიან დაბებში და სოფლებში და ისინი, როგორც მწყემსთაგან მიტოვებული სამწყსო. მიიტაცნეს და წარწყმიდნეს მგელმან სულიერმან. დადექი, აქ ძმაო, მე კი წავალ და კერძოობით შენთვის და აქ დარჩენილთათვის ვევედრო Ⴖმერთსა და ნუ დამაბრუნებ, ძმაო, რადგანაც ძლიერ მსურს წასვლა და წმ. ადგილების თაყვანისცემა, სადაც ცათა მყოფელი Ⴖმერთი ჩვენთვის კაციქმნა და კაცთათანა იქცეოდა». Ⴀმ სიტყვების გამგონე Ⴊუკიანე თანხმა გაუხდა იქ დარჩენაზე, ხოლო მ. Ⴃავითი წავიდა Ⴈერუსალიმს და თან წაიყვანა რამოდენიმე მოღვაწეთაგანი. როდესაც მიუახლოვდენ Ⴈერუსალიმს და დაინახეს იგი, მამა Ⴃავითი დავარდა პირქვე მიწაზე და ცრემლით მადლობდა Ⴖმერთს, რომელმანც ღირსჰყო იგი ხილვად ამ წმ. ადგილისა. Ⴈერუსალიმში შესვლა აღარ ინება. Ⴇანამოგზაურნი მისნი ეხვეწებოდენ მას, რომ ის მათთან ერთად შესულიყო Ⴈერუსალიმს, მაგრამ დავითმა ჩასთვალა თავის თავი უღირსად და უთხრა მათ: «ძმანო! თქვენ წადით და ლოცვა ყაეთ ჩემ ცოდვილისათვის, მე კი ვერ გავბედავ სიარულს ჩემის ცოდვილი ფეხით იმ წმიდა ადგილებზედ, რომელთა ზედა ვლეს უბიწოთა და Ⴖმერთკაცებრივთა ფერხთა შემოქმედისა ჩემისათა; საკმაოა ჩემთვის მადლი ესე, რომ ღირს ვიქმენ ჩემი უღირსი თვალით ამ წმ. ადგილების ხილვად“. თანამოგზაურები გამოეთხოვენ Ⴃავითს, დატოვეს იგი და წავიდენ. ხოლო მშვიდმა Ⴃავითმა დიდხანს ცრემლით და მუხლმოდრეკით ილოცა იქ Ⴖმერთი, მერმე იმ ადგილითგან აიღო სამი ქვა, როგორც თვით ქრისტეს საფლავისგან გამოკვეთილი სარწმუნოებით, ჩასდო მალაკში (მალაკი პატარა კალათის მსგავსად მოწნული ჭურჭელია), წამოიღო ისინი და დაბრუნდა Ⴂარესჯას. Ⴈმ ღამეს Ⴈერუსალიმის პატრიარქს Ⴄლიას გამოეცხადა ჩვენებით ანგელოსი Ⴘფლისა და უბრძანა მას: «Ⴈერუსალიმამდე მოვიდა საკუთარი მონა ჩემი Ⴃავით და სარწმუნოებითა მისითა წაიღო მადლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წეთაგანი ერთად ცხოვრებდენ და ზოგი კი განმარტოებით მოღვაწეობდა კლდის ნაპრალებში. მ. დავითი ხშირად მიდიოდა განმარტოებულებთან, ანამხნევებდა და განამტკიცებდა მათ. ერთ დღეს მამა დავითი მივიდა ერთ ამისთანა მოღვაწესთან, მოიკითხა იგი და უთხრა: «როგორა ხარ, ძმაო?» მან მიუგო: „კარგად ვარ, წმიდაო მამაო, შენი ლოცვით, მაგრამ წყალი, რომელიც აქ ჩამოწვეთს კლდეზე, ნალვეღვივით მწარეა და მხალიც მისგან მორწყული მწარეა და როდესაც ვსვამ ამ წყალს, ან ვჭამ მხალს სიმწარისაგამო დიდათ შევწუხდები ხოლმე, მაგრამ ვეტყვი ჩემ თავს, რომ ჯოჯოხეთის სიმწარე უფრო ძნელია და უმჯობესია დავითმინო წუთისოფლის სიმწარე და მით მოვიპოვო ზეციერი საუკუნო სიტკბოება». ეს სიტყვები დავითს ძლიერ იამა და უთხრა მას: «ნუ მწუხარე ხარ, ძმაო, არამედ ვევედროთ უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს და როგორც მერრას დაატკბო წყალნი მწარენი (გამოს. 15, 23—25). ეგრეთვე დაატკბოს ეს წყალიც». აღმოავსეს ჭურჭელი იმ მწარე წყლით, ილოცეს ღმერთი და მართლაც გატკბა წყალი იგი და როცა განმარტოებულმა გასინჯა მისი გემო, მას ძლიერ გაუკვირდა და ღმერთს მადლობა და დიდება შესწირა.

X

ამის შემდგომ გავიდა რამოდენიმე დრო და ღვთის განგებით დავითმა გაიგო თავის გარდაცვალების მოახლოება, შეკრიბა ყველა იმ უდაბნოში მყოფნი ძმანი, უკანასკნელად გადასცა მათ მამობრივი სწავლა და გამოეთხოვა მათ შემდეგი სიტყვებით: «ძმანო ჩემნო და შვილნო სულიერნო! მე განვალ ამ ქვეყანისაგან და მიწადვე მივიქცევი, რაცა განწესებულია კაცთათვის, ხოლო თქვენ ნუ შეძრწუნდებით და ნუცა აღშფოთდებით, არამედ უფრო განმტკიცდით და განძლიერდით, სცანთ ამაოება ამ წუთი სოფლისა, ყოველნი წარმავალნი ვართ ამ წუთი სოფლითგან, ხოლო სული უკვდავია და გვეგულვების მიღება კეთილისა ანუ ბოროტისა, რომელიც ვიმოქმედეთ ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში. ამისთვის დაუცხრომელად დღე და ღამე ევედრებოდეთ ღმერთსა, რომ მოგცესთ ძალა წინააღუდგეთ უხილავთა მტერთა ჩვენთა, რომელნიც მეცადინობენ ჩვენ დაბრკოლებას, ცოტა ხანს დაითმინეთ მცირე ესე სატკივარი და საუკუნოდ იხარებდით, რამეთუ წერილ არს: «მოთმინებითა თქვენითა მოიპოვოთ სულნი თქვენნი» (ლუკ. 21, 19). ამის შემდგომ უბრძანა მღვდელს შეწირვა უსისხლო მსხვერპლისა—აწირვინა, წირვაზედ ეზიარა უხრწნელთა და უკვდავთა ქრისტეს საიდუმლოთა, წმიდასა ხორცსა და პატიოსანსა სისხლსა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა, მადლობა შესწირა ღმერთს და განუტევა სული. ძმათა კრებულმა იტირა

მამა დავით გარესჯელი.

და იგლოვა მწყემსი თვისი და თვითოეული მათგანი ემთხვია მის პატიოსანს გვამს. ამ დროს იქ მყოფმა ერთმა ძმათაგანმა, რომელიც სიყმაწვილითგან ბრმა იყო, დავითის სხეულის მთხვევის დროს მიიღო კურნება—მან აღეხილნა თვალნი თვისნი და ამის მნახველნი აქებდენ და ადიდებდენ ღმერთს, რომელმან სიკვდილის შემდეგაც ადიდა მსახური თვისი.

ბლად. მღვ. ნესტორ ყუბანეიშვილი.

შინაარსი: თავადი გიორგი ევსევის ძე ერისთავი.—ბედიის ტაძარი.—მარიამ დედოფალი და შვილი მისი ოტია.—პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ.—ობოლის ქალის ტირილი (ლექსი).—ახალი ამბები და შენიშვნები.—მამა დავით გარესჯელი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Доз. цензурою. Кутаисъ, 29 Іюня 1893 г.
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хапановыхъ на Нѣмецкой ул.